წელიწადი მეცხრე.—№ 425

პარასკევი, 31 მაისს 1874

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ი... ... ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## ქალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს ამით, რომ მომავალს ივნისის რვას დანიშნულია ვაჭრობა და წესისაებრ სამი დღის შემდეგ ხელმეორედ ვაჭრობა იმაზედ, რომ იჯარით გაიცეს ცხენებზედ დანიშნული გარდასახადი სამის წლის ვადით. თუ ვისმეს შევაჭრება სურს, დანიშნულს დღეს ქალაქის გამგეობაში უნდა გამოცხადდეს.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

ქალაქის გამგეობისაგან—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: თფილისი, 31 მაისს 1874 წ.—წვრილი ამბები—„დროების“ კორრესპონდენცია: ხარაგაულიდგან—ხონიდგან—წერილები რედაქტორთან: ნ. სრედინსკისა და დ. აბდუშელი-შვილისა—უნებური საუბარი, მეველისა—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—ესპანია—კორრესპონდენცია პარიჟიდგან—ნ ა რ ე ვ ი.

# საქართველო

თფილისი, 31 მაისს 1874 წ.

სადაო არ არის, რომ ყოველი ხალხისთვის სწავლის გავრცელება ერთ უმთავრეს საქმეთ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამ აზრის დამტკიცება საჭირო იყოს ეხლა. ყოველ ქვეყანაში გაიგეს—და მათ შორის თვით უმეცარ საზოგადოებათაც—როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს შ კ ო ლ ა ს ხალხის ძლიერებისა და მის ყოველ გვარი კეთილდღეობისთვის.

ესვე გაიგეთ, ვგონებ, ჩვენ ქართველებმაც; მაგრამ ჯერ ჩვენს ზრუნვასა და მეცადინეობას კი არაფერი გაუკეთებია რა ამ საქმისთვის. მარტო ცოდნა კი არ კმარა—იმ ცოდნას გამოყენებაც უნდა.

საზოგადოთ, საქართველოს ძალიან შემცირებული ღონისძიება აქვს საშუალო სწავლის მისაღებათაც. უმაღლეს განათლებაზედ ხომ სრულიად ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგანაც ჯერ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს ჩვენში.

მაგრამ ის ორიოდე გიმნაზიაც, რომელიც ჩვენთვის უნდა იყოს, ვგონებთ, გაკეთებული; ვერც ისინი წარმოგვიდგენენ სანუგო ნაყოფს. მაგ. პირველ კლასებში ქართველობა ნახევარზედ მეტი თუ არა, ნაკლები მაინც აღარ არის; მაგრამ როგორც ზევითა და ზევით ინაცვლებენ შაგირდები, ქართველები თან და თან აკლდება ამ მოსწავლეთ გროვას. ნახევარი ნაწილისგან მეხუთე და მეექვსე კლასში მეშვიდედი მერვედიცვე ღარ მიყვება ამხანაგებს. და უკანასკნელ კურსამდი მეათე პროცენტი მაინც რომ მიაღწევდეს, ეს წმინდა სასწაული იქნება. ეს არის ნამდვილი მდგომარეობა, და რა მიზეზი უნდა იყოს ვითომ ამ ნაირ სამწუხარო მოვლინებისა? რისთვის იჩენს ქართველი ახალგაზდობა მზგავს ჭკუის სიძაბუნეს და სწავლის სიძულვილს? რა აიძულებს იმას მესამე ან და ბევრი, ბევრი მეოთხე კლასიდამ გამოსვლას და სამუდამოთ გაუნათლებელად დარჩენას?

პირველი და უმთავრესი მიზეზი ამ ნაირი უნუგეშო მოლენისა გახლავსთ—ენის უცოდინარობა. შევხედოთ ერთი, როგორს საბრალო სურათს წარმოადგენს ქართველი ყმაწვილი ეხლანდელ სასწავლებელში. დედმამას შემოყავთ შვილი შკოლაში, რომელსაც ქართულის მეტი არა ესმის რა. ამ ყმაწვილს დასმენ და იმვე წამს საგნების სწავლას აწყებინებენ მისთვის უცნობ ენაზედ. ის გაჭირვებით მისდევს ენის მცოდნე ამხანაგებს, ატანს საოცარს ძალას თავის ნორჩს ტვინს, და ხსოვნას და ზეპირათ, გაუგებრათ, გონების უმონაწილოთ ამზადებს გაკვეთილებს. ამ ნაირს გაჭირვებაშია ქართველი მოსწავლე სამ ოთხ წელიწადსა ე. ი. იმ დრომდი, სანამდის ის ეჩვევა უცხო ენას. აი ყმაწვილმა მიაღწია, როგორც იყო მესამე თუ მეოთხე კლასამდი თითქოს აწ საშიში აღარა იყოს რა და უმთავრესი დაბრკოლება და სიძნელე გამორებული ჰქონდეს. მაგრამ არა! აქ სჩნდება მხოლოდ გონების დამბლაგველი და გამხრწნელი ზეპირობის გავლენა. აქ იტყობს საბრალო თავისი ხსოვნის და ენერგიის დასუსტებას! ოთხი, ხუთი წლის გაუგებარი სწავლა ერთბაშად იჩენს თავს და განათლების გზას უხსტავს. ახალგაზდა კაცი ხედავს, რწმუნდება დაბრკოლების უძლეველობაზედ და თავგამომეტებული, თითქმის სასო-წარკვეთილი, ეთხოვება სწავლას. მართალია, ზოგიერთნი მაინც მიდიან ბოლომდის და ასრულებენ კურსს, მაგრამ ეს იშვიათია, და იმათაც კიდევ მთელს სიცოცხლეში აჩნიათ პირველი წლების დაღი.

რა გაეწყობა ამ ნაირ მდგომარეობას? სად არის საშუალება?

ჩვენის აზრით ეს ისეთი აუცილებელი გაჭირვება არ არის, რომლის აშორება არ შეიძლებოდეს. თუ კი პედაგოგები შეთანხმდებიან იმაზედ, რომ პირველად ყმაწვილის ნიჭის გახსნაა საჭირო, მაშინ ადვილი გადასაწყვეტი იქნება ეს საგანი.

წარმოვიდგინოთ, რომ პირველ ოთხ კლასებში ყმაწვილებს მშობლიურ ენაზედ ასწავლიან და ერთ უმთავრესს საგნათ—რასაკვირველია—იქნება რუსული ენაც. რა გამოდგება მაშინ? შაგირდები ოთხი-ხუთი წლის განმავალობაში საგნებსაც შეისწავლიან აზრიანათ, გაეხსნებათ გონება, და რუსულ ენასაც გაუჭირვებლად შეეჩვევიან: მერმე, უმაღლესს კლასებში რუსულ ენაზედაც ადვილათ შეიძლება სწავლის გაგრძელება.

ამნაირი წყობილებისაგან მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ქართველობას გაუადვილდება განათლების მიღება და მეათედი ნაწილის მაგიერ ნახევარი მაინც დაასრულებს კურსს.

ამ გვარ ცვლილებას მოითხოვს პედაგოგიური მეცნიერება და საზოგადო მოთხოვნილებაც. ნამეტურ იმ შემთხვევაში, როდესაც ორი წყება (პარალლელური) კლასებია გიმნაზიაში, ჩვენი წინადადების სისრულეში მოყვანას არა ვითარი დაბრკოლება არ უნდა შეხვდეს.

დღეს, იმ მიზეზის გამო, რომ ქართველობა ათში ერთი ვერ ასრულებს გიმნაზიურ სწავლას—ახირებული აზრია შემდგარი. ჰფიქრობენ, და ეს კიდევაც წარმოთქმულა ხოლმე, რომ ჩვენი ხალხი ზარმაცი და უნიჭო უნდა იყოს, ვითომ. იმ მსაჯულებს, რომელნიც ამ ნაირ გარემოებიდგან ქართველი ყმაწვილის უნიჭობას გამოიყვანს, ჩვენ არ ვებაასებით.

იქ, სადაც განჩინება საქმის განუხილველად შესდგება ხოლმე—ჩვენ სამართალს არ ვითხოვთ.

მეველე.

## წვრილი ამბები

— ჩვენ ნამდვილათ შევიტყვეთ, რომ თფილისში სომხები თეატრს აშენებენ. ეს საქმე უკისრნია მანთაშიანც და კამპანიას, რომელთაც ამისთვის ფრანგების ეკკლესიასთან რომ ნასაყდრი მარილის მაღაზია იყო ის დაუქირავებიათ და უნდათ ეს შენობა თეატრად გადააკეთონ. მუშაობას ძალიან მალე დაიწყებენ, დაყოვნება მხოლოდ პლანის შედგენაზედ არის.

როგორც გავიგეთ, ეს თეატრის ამშენებლები თითონვე აპირებენ აქტიორების ჯამაგირით დაქირავებას და ისე წარმოდგენების გამართვას. სომეხ აქტიორებს გარდა ორი-სამი ქართველი აქტიორის შოვნაც უნდათ, რომ ჩვენებური ენის მცოდნე სომეხ-აქტიორებს დაეხმარონ და ქართული პიესების წარმოდგენაც შეაძლებინონ.

ვგონებთ, აქ მეტი იყოს ჩვენი თანაგრძნობის გამოცხადება. ვიტყვით მხოლოდ შემდეგს:

თუ სომხები, ანგარიშის კაცები, ადგილობრივ თეატრს აფუძნებენ, ჩვენ ეჭვი აღარ უნდა გვქონდეს, რომ თეატრის საჭიროება დიდი ხანია დაბადებულა ჩვენს ხალხში. და საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ სანამ ამ საქმეს ანგარიშის კაცებმა ხელი არ მოჰკიდეს, მანემდის ჩვენში არც ერთი კაცი არ გამოჩნდა, რომ თეატრის დაფუძნება განეზრახა და კარგად, თუ ავად რიგ-რიგზედ სპეკტაკლების გამართვით იმისი დამყარება მოენდომებია.

— ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ ივნისის პირველიდგან ცეცხლის ვემი „ნადეჟდა“ აღარ ივლისო რიონში ფოთსა და რკინის გზის სტანციას შუა. მგზავრებისათვის სანავო იქნება გაკეთებული, რომელშიაც რკინის გზის საზოგადოებას არავითარი მონაწილეობა არ აქვსო.

— 24 მაისს თფილისის პირველი განყოფილების მომრიგებელ მსაჯულთან დანიშნული იყო „მშაკის“ რედაქტორის უფ. არწრუნის და უფ. სტადლინის საქმის გარჩევა. უკანასკნელი უჩიოდა პირველს ბეჭდვით გალანძღვისა და ცილის წამებისათვის. ეს საჩივარი დაბადა იმ ბაასმა, რომელიც იყო უფ. არწრუნსა და უფ. სტადლინს შუა, უკანასკნელისაგან ბოკლის თეორიაზედ წაკითხულის ლექციების გამო. მომჩივან-მოპასუხე მსაჯულის წინადადებით არ შერიგდნენ და სხვა განჩინების შედგენა მომრიგებელ მსაჯულს არ შეეძლო, რადგანაც ეს საქმე, როგორც ლიტერატურული, იმის სამართალს არ ექვემდებარებოდა; ამიტომ მომრიგებელმა მსაჯულმა საქმე მოსპო. ეხლა ეს საქმე მაზრის სამსაჯულოში უნდა გადაწყდეს, თუ, ვინიცობა, სტადლინმა იქ საჩივრის შეტანა ინება.

— გაზეთს „მშაკს“ აცნობებენ განჯიდგან, რომ იქ რამდენიმე განათლებული კაბის წრეს სომხური ჟურნალისა ან გაზეთის გამოცემა განუზრახავს.

— იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ასტრახნელს სომეხთ არქიეპისკოპოსს გევორქს სტიპენდია დაუნიშნავს ერთის ყმაწვილისათვის, რომელიც ამ ჟამად ციურიხში სწავლობს, იმ პირობით, რომ კურსის გათავების შემდეგ იმან სასულიერო შკოლაში მასწავლებლად იმსახუროს.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ხარაგაული, 3 მაისს 1874 წ.

მე იმედი მქონდა, რომ მეორედ ხარაგაულში ყოფნის დროს მაინც ვნახავდი იქაურს შკოლას უკეთესს მდგომარეობაში, მაგრამ ძალიან მოვსტყუვდი. შკოლა ისევ ისე მიყრუებულია, როგორც წინეთ მოგახსენეთ (ნახე „დროების“ № 409), და ეს ერთის მხრით იმ პირების ბრალია, რომელნიც საზოგადო საქმისაგან მარტო თავის საკუთარ სარგებლობას ეძებენ.

მართლა და რას შვრებიან ეს ზოგიერთი პირები? ჯერ აღებენ შკოლას იმ აზრით, რომ მთავრობისაგან მადლობა დაიმსახურონ და როდესაც ამ დიდებამდის მიაღწევს იმათი სული, მერმე გული აუცრუვდებათ და შკოლას კეტავენ, აქაოდა ჩვენ რაც გვინდოდა ის ხომ შევისრულეთ და სხვისი რა დარდი გვაქვსო. ეს თუ გინდა, კიდევ იქით იყოს, რომ აღარც სასოფლო შკოლას ეწევიან! ეწევიან კი არა ხელსაც უშლიან იმის ჯავრით, რომ თავიანთი შკოლა, რომელიც იმათ დიდ სახელს უვრცელებდა, დაკეტეს. ეს რასა ჰგავს? განა პატიოსან კაცს ამ გვარი საქციელი ეკადრება?

ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ საშკოლო სახლი დიდი ხანია აშენებული იყოს, გლეხები ყოველ საათში მზათ იყვნენ ფულების მიცემაზედ და მასწავლებელი კი არ სჩანდეს.

მამასახლისმა ძალიან დიდი იმედი მითხრა, ვცდილობ მალე ვიშოვნო მასწავლებელი. თუ წელს არა, საგაისოთ შკოლა უეჭველად გაიხსნებაო.

ნეტავი გაისად მაინც გაიმართოდეს ამ შკოლაში სწავლება და აქამდის დაგვიანებამ თქვენი ჭირი წაიღოს.

ი. ტაბატაძე.

ხონი, 22 მაისს 1874 წ.

„დროების“ 423 ნომერში წავიკითხეთ უცნობი კორრესპონდენტის სტატია, რომელიც გავსებული არის იმისთანა უსაფუძვლო გარემოებით, რომ არ შეიძლება არა ვსთქვა მაზედ რამოდენიმე სიტყვა და არ ავხსნათ მისი ხეპრული შეცდომილება.

დაწესება ხონში უფასო ქალების სასწავლებელისა აი როგორ მოხდა. 1872 წელში ერთ სალამოს რამოდენიმე პირმა შეიყარა ერთი თავადის სახლში და უ. ჟღანოვმა იმოდენი იმეცადინა, რომ დაამტკიცა შკოლის სარგებლობა, რომლის გავლენით ერთის საათის განმავალობაში მოგროვდა 500 მანეთამდინ და შემდგომ მიიღო მან თავის თავზედ, როგორც ხელის მომწერლების და ყოველ წლივ წევრების მოპოვებას, აგრეთვე ფულების მოგროვებასაც და კიდევაც ასრულებდა თავის აღთქმას სანამდისაც ხონში იმყოფებოდა. მაშასადამე მეტი რა უნდა მოეთხოვა საზოგადოებას ჟღანოვისაგან? ეს არის პირველი და უმთავრესი შკოლის შემწეობა; ხოლო დანარჩენი ეკონომიური საქმისათვის არიან რამოდენიმე

ალრჩეულნი პირნი. უცნობელი კორრესპონდენტი სხვათა შორის იმასაც ბრძანებს, რომ ჟდანოვის როლი შკოლის საქმეში მხოლოდ ის იყოვო, რომ იგი ფულებს კრეფდაო. აქ ცოტაოდენი გარემოება დავიწყებია: გარდა ფულების კრეფისა, როგორც ზევით ვთქვი, იგი ყოველ დღე იძენდა ახალ ხელის მომწერლებს. მაგრამ ეს პირველი შეცდომა მიუტევოთ უფ. კორრესპონდენტს.

რიცხვთა შორის სხვათა ვითომც დაბრკოლებათა „მეც უცნობელს" მოუყვანია ერთიც ის, რომ ჟდანოვმა შკოლის ორასი მანეთი ვალათ წაიღოვო. კორრესპონდენტს მგონია არ გაუგია შკოლის ფულების ამბავი. შკოლის წევრებმა გარდასწყვიტეს შემოწირული ფული, რომ უსარგებლოთ არ გაჩერდეს, მიეცეს სხვა და სხვა სანდო პირებს, რომ საჩივლელად არ გამხდარიყო და იმათგან 200 მანეთი ჟდანოვს მიავალეს სარგებლით. ამას გარდა „მეც უცნობელი" ამბობს, სადილი ჟდანოვს თვითონ იმის სურვილით და მეცადინეობით გაუკეთესო, ჟდანოვმა ხონში ტანციობა გაავრცელაო და სხ. მაგრამ ამაზედ არაფერს ვიტყვი, რადგანაც ეს ერთობ წვრილმანია და რადგანაც ამ გვარს შეწამებას დაურღვეველადაც არავინ დაიჯერებს: ამ წერილით მარტო იმის დარღვევა მსურდა, რაც გარეშე კაცის თვალს მართლის მსგავსად ეჩვენებოდა, და რის დაურღვეველობით კაცის პატიოსნება შეგინებული იქმნებოდა.

ხონელი მოამბე.

---

## წერილები რედაქტორთან

---

I

მოწყალეო ხელმწიფევ!

მაგზავნი თქვენის გაზეთის „დროების" კანტორაში ჩემს სტატიას „Очеркъ растительности Ріонскаго бассейна" და გთხოვთ უმორჩილესად გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში, რომ მე მივემგზავრები მურიის, სამეგრელოს, აჭარისა და ახალციხის ქედის, ზემო იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის მცენარეობის შესასწავლად. თუ დრო მექნა, მე მსურს მთელი ენგურის ხეობაც გავლო და მაშა-სადამე გავეცნო სვანეთისა და იმას ქვემოთ მდებარე ადგილების მცენარეობა და ბუნება.

ამასთანავე უგულითადესს მადლობას მოგახსენებთ ოდესსიდგან გამოგზავნილის ჩემის წერილის დაბეჭდისათვის.

მაქვს პატივი და სხვ... ნ. სრედინსკი.

ნამდვილი წევრი ნოვორსსიელის ბუნების-გამომძიებელთ საზოგადოებისა.

---

II

(ჩვენ გვინდოდა, რომ შემდეგი წერილი უფ. დ. აბდუშელი-შვილისა შეგვემოკლებია, და მხოლოდ ის დაგვებეჭდა, რაც საქმეს შეეხებოდა; მაგრამ რადგანაც უფ. დ. აბდუშელი-შვილმა გვთხოვა, რომ ჩემი წერილი უსათუოდ ისე დაბეჭდეთ როგორც არისო, რადგანაც არ გვინდოდა, რომ იმას ეთქვა, რედაქციამ გასამართლებელი ღონის-ძიება მომისპოო, ყველა ჩემი გამართლებისათვის გამოსადეგი გარემოების ჩვენება მომიშალაო, ამიტომ ხსენებულს წერილს უცვალებელად ვბეჭდავთ. იმედი გვაქვს, რომ „სამსჯავროს" მაგიერ „სამსაჯულოს" დაწერას ცვლილებად არავინ ჩასთვლის.—რედაქცია.)

„დროების" 1873 წლის, 28 დეკემბრის, 404 ნომერში იყო დაბეჭდილი უფალი მეველის სტატია ერთი ქუთაისელი ადვოკატის წერილზედ თფილისელ ადვოკატთან, შესახებ ტუსაღების ნანეიშვილის და უვინჩილიას საქმისა. შემდეგ ამ სტატიის დაბეჭდვისა უფალმა ნიკოლოზ ყიფიანმა „დროებისავე" ამა წლის 11 იანვრის 406 ნომერში დაბეჭდა წერილი თქვენთან მის თაობაზედ, რომ ეს ადვოკატი იყო აბდუშელი შვილიო. მე საჭიროთა ვრაცხ, მივსცე პასუხი ზემოხსენებულ საგანზედ მეველს და ყიფიანს. თუმცა ამ პასუხმა ცოტათი დაიგვიანა, მაგრამ აქამომდე ჩემი სიჩუმის მიზეზი გახლდათ ისა, რომ ამა წლის იანვრის თვეში მოვიტეხე ხელი, და მინამ არ მომირჩა მე ვერ შევუდგებოდი პასუხს. ახლა ვსთხოვ მკითხველს ცოტა ყურადღება მომცეს. მე მქონდა მონდობილი ღენერალ მაიორის კნიაზ კონსტანტინე დადიანისაგან წარმოება საქმისა მულბაქის ადგილებზედ. ეს საქმე თფილისის სამსაჯულო პალატაში ზემოხსენებული დადიანის მოპირდაპირის სასარგებლოთ გათავდა. ამისთვის მე 1872 წლის იანვრის დამლევს მივედი თფილისს პალატის განჩინების და პროტოკოლის გადასახედავათ. ფებერვლის თვეს მე მომივიდა უფალი ლოლუასაგან ამ შინაარსის ტელეგრამმა: „Пересмотрите Нанейшвилевское дѣло—уголовное и пріѣзжай-те по скорѣе". უნდა მოგახსენოთ, რომ ზემოხსენებული საქმის ცუდათ გათავებამ მე ძრიელ ცუდ გუნებაზედ დამაყენა, ასე რომ რამოდენიმე ხანს მე სხვა და სხვა ფიქრებით გართული ვიყავი. ამ მიზეზით და იმ მიზეზითაც, რომ თვით დეპეშა მელნით არ იყო დაწერილი, მე მას ვერ დავაკვირდი, სიჩქარით წავიკითხე და მაშინვე ვიფიქრე, რომ ლოლუა მთხოვს მე ნანეიშვილის სამოქალაქო საქმის გადახედვას. ნანეიშვილი (ტუსაღი კი არა) ეძიებდა ხაზინისაგან ორპირის ადგილებს; ეს საქმე მან, ნანეიშვილმან, პალატაში წააგო. მაშინვე გავსწიე პალატაში და გადავხედე ამ საქმეს. ქუთაისს რომ ჩამოვედი, ლოლუამ ჩემი ჰაზრი მკითხა ნანეიშვილის საქმეზედ; მე სამოქალაქო საქმეზედ დაუწყე მას ლაპარაკი. გამოჩნდა რომ მე შევსცდი; ამით ორნივე შევსწუხდით,—ვადა საჩივრისა ახლოვდებოდა, ჩემი მიზეზით საჩივრის სიმართლე იკარგებოდა. მე ვიფიქრე—ჩემგან წამხდარი საქმე ისევ ჩემგნითვე უნდა გამოკეთდეს, რომ ტუსაღებთან და მათ ნათესავებთან ჩემი მოვალეობა შევასრულო მეთქი. მაშინვე ვაცნობე თფილისს დეპეშით ერთს ჩემ ნაცნობს ჩემი გაჭირვება და ვსთხოვე, რომ განჩინების და კითხვათა მუხლების პირი (вопросные пункты), რამდენათაც უნდა დაჯდომოდა, გადაეწერინებია და მოეწვდინა ჩემთვის საჩქაროთ.—განჩინების პირი მივიღე მე 11-ს ფებერვალს. ეს პირი რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ ტუსაღები უბრალონი არიან; მაგრამ ამ განჩინებასთან არ მომივიდა მე კითხვათა მუხლები, რომელნიც უთუოდ საჭირო იყვნენ კასაციის საჩივრის დასაწერათ. ამ გარემოებამ მე ძრიელ დამაფიქრა,—ვადის გასვლამდე ოთხი დღე ღა რჩებოდა; ჩემი განზრახვა იყო, რომ ტუსაღებთ თავისი სახელით შეეტანათ საჩივარი,—ვექილობის შედგენას სატუსაღოში დიდი დავი-დარაბა სჭირდებოდა,—მაგრამ ეს განძრახვაც ჩამეშალია. მაშინ ლოლუამ მითხრა: მეტი ღონე არ არის მე მივსწერ ნიკოლოზ ყიფიანს გადახედოს საქმეს და საჩივარი შეიტანოს; იმას სრულებით საქმეები არა აქვს, იმას ექმნება საკმაო დრო გულ-მოდგინეთ გადახედოს საქმეს. გადავსწყვიტეთ, რომ ყიფიანს დაეწერა საჩივარი; სხვა მეტი ღონე აღარ იყო. ამის შემდეგ მე შევუდექი ვექილობის შოვნას; თორმეტ ფებერვალს მე შევატანინე ნანეიშვილს თხოვნა პროკურორთან იმაზედ, რომ ამ უკანასკნელს მიეცა ნოტარიუსისთვის ნება სატუსაღოში მისვლისა ვექილობის დასამოწმებელათ; ეს უფლება მიეცა ნოტარიუსს იმავე დღესვე. ამავე დღესვე ღამით წავიყვანე ნოტარიუსი მისი სახლიდამ სატუსაღოში და დავამოწმებინე ნანეიშვილის ვექილობა; უვინჩილია კი დამრჩა ისე, რახანც ავათ იყო იმ ჟამათ. იმავე ღამეს ლოლუამ გაუგზავნა ყიფიანს ამ შინაარსის დეპეშა: „გადახედეთ ნანეიშვილის საქმეს, რომელსაც შალიკაშვილის მოკვლას აბრალებენ და თუ რამე კასსაციის საბუთი არის, დაამზადეთ საჩივარი, ვექილობას მიიღებთ ესტაფეტით". თვით ვექილობა და განჩინების პირი მე გაუგზავნე ყიფიანს ესტაფეტით მეორე დღეს ცამეტს ფებერვალს.—ყიფიანმა რომ საჩივარი შეიტანა, იმისი შავი მე მომაწვდინა (ამ ქაღალდთან მე მომივიდა ყიფიანისაგან პალატის განჩინების და პროტოკოლის პირები კონსტანტინე დადიანის საქმეზედ; რახანც ამ ქაღალდების გამოტანა სამსჯულო პალატიდამ მე ვერ მოვასწარი, ამისთვის ყიფიანს მივანდვე ამათი გამოტანა და გამოგზავნა ჩემთვის). რამოდენიმე ხნის შემდეგ მე შევატანინე უვინჩილიას თხოვნა იმაზედ, რომ ის უერთდება ნანეიშვილს საჩივარში და ითხოვს პალატის განჩინების დარღვევას.—სენატში ეს საქმე კარგათ გათავდა; დაინიშნა ხელმეორეთ იმის განხილვა პალატაში 1871 წლის ნოემბრის 10 რიცხვს. შემდეგ პალატის განჩინების დარღვევისა ყიფიანი შეხვედროდა ლოლუას ერთს ადგილას და ეთხოვნა, რომ ისევ მისთვის მიგვენდო ჩვენ ტუსაღების დაცვა პალატაში.

თქვენც იცით, უთქვამს ყიფიანს ლოლუასთვის, რომ საქმეები არა მაქვს რა, ნუ ჩამომართმევთ ამ საქმეს. ყიფიანის წინადადებაზედ, რასაკვირველია, ჩვენც დავთანხმდით. ჩვენ ვიფიქრეთ: რახანც ყიფიანი ნაშრომია ამ საქმეში—დაე ისევ მან აწარმოვოს ესა და ახლა ჩვენ რომ ავიღოთ ეს საქმე, ყიფიანი იფიქრებს, რომ ჩვენ მისი შრომით ვისარგებლეთ. რახანც ყიფიანს ტუსაღების დასაცველათ პალატაში ვექილობა არ ჰქონია, ეს ვექილობა მხოლოდ მე მქონდა ტუსაღებთაგან მოცემული, ამისთვის მე გადავეცი ეს ვექილობა ყიფიანს. მე შემეძლო თვითონვე დამეცვა ტუსაღებნი პალატაში; საქმის გარჩევის დროს ლოლუა პალატაში დაესწრო, სადაც მას ჰქონდა სხვა საქმე, მაგრამ ჩვენ ეს არა ვქენით.—ჩვენთვის სრულებით ერთი იყო—იქნებოდა ეს საქმე ჩვენ ხელში, თუ არა, ამისთვის რომ საქმეები მრავალი გვქონდა და გვაქვს. მე რომ ფულის ინტერესი მქონოდა ტუსაღების საქმეში, თვითონვე ტუსაღებთ შევატანინებდი კასსაციის საჩივარს მათი სახელით. რა არის უადვილესი უსაფუძვლო, უჰაზრო საჩივრის დაწერისა, ამ ნაირს საჩივარს კაცი ნახევარ საათსაც არ მოუნდებოდა. ამ შემთხვევაში ჩემთვის არ იქნებოდა საჭირო ამდენი ოინი, არ იქნებოდა საჭირო არც პალატის განჩინების პირი, რომელიც მე დიდის გაჭირვებით მივიღე და რომელიც მე კი დიდ ძალ ფულათ დამიჯდა, არც ვექილობის შედგენა, არც ესტაფეტი, არც დეპეშა და არც სირბილი სატუსაღოში, პროკურორის კამერაში და აქიდამ ნოტარიუსის კანტორაში და სახლში.

რას მეტყვით ამაზედ: რისთვის გავუგზავნე მე ყიფიანს განჩინების პირი? რატომ თვით მე არ დავსწერე კასსაციის საჩივარი? ან და რა განძრახვით გამოვიწერე მე თფილისიდამ განჩინების პირი? თუმცა მე რაიმე ინტერესი მქონოდა ამ საქმეში, ნუ თუ ყიფიანს დავანებებდი ტუსაღების დაცვას პალატაში? ნუ თუ ვექილობას მივსცემდი მას? საქმე რომ მოსაგები იყო, ეს ცხადი იყო. მსთქვათ, მე დამეზარა ამ საქმისთვის თფილისს ჩასვლა—ლოლუა ხომ თფილისს იყო, ნუ თუ ის ვერ დაიცავდა ტუსაღებს? მაგრამ, როგორც წინეთ მოვიხსენიე, ეს ჩვენ არა ვქენით იმ განძრახვით, რომ ყიფიანს ჰქონებოდა რაიმე საქმე. მაშ რა უსინიდისობაზედ მოგვითხრობს დროების დროებითი თანამშრომელი, რომელიც მიუხედომლობით ცუდის მიზნის მისაღწევ იარაღათ გამხდარა სხვის ხელში და ამისთვის შემოსილა პატივცემულის ლამანჩელის აზნაურის იარაღით.

ყველა სიტყვები, რომელნიც ჩემ წიგნში მოყვანილნი არიან, მე არ მახსოვს, ამისთვის ვითხოვ, რომ ჩემი წიგნი უმეტ-ნაკლოთ თავიდამ ბოლომდე დაბეჭდოს ყიფიანმა. ეს კი კარგათ მახსოვს, რომ ყიფიანს ვსწერდი, რომ ის თავისი შრომისთვის მიიღებს რიგიან სასყიდელს, თუმც საფუძვლიან საჩივარს დასწერს. ამ დაპირების შემდეგ მე კიდევ განუმეორე ყიფიანს: თუმცა მაინც და მაინც ვერ მიაგნო დამარღვეველთ მიზეზთ, მაინც შეიტანე საჩივარი, ტყუილათ არ გაშრომებთ მეთქი, გამოვართმევთ შენს სასყიდელს ტუსაღების ნათესავებთ და მოგაწვდენთ მეთქი. თუმცა მე იმ წიგნს ძრიელ სიჩქარით ვსწერდი (ესტაფეტით იგზავნებოდა), მაგრამ მასში მაინც ეს ჰაზრი არის გამოყვანილი. დაიბეჭდოს ჩემი წიგნი და ვნახოთ, მართალია ჩემი სიტყვა, თუ არა. ამ ნაირი წინადადების მიზეზი ის გახლდათ, რომ მე დარწმუნებული ვიყავი ტუსაღების სიმართლეში, ყიფიანს კი ძრიელ სუსტ-ვექილათ ვიცნობდი; მე დიდი რწმუნება მის გამჭრიახობაზედ არ მქონდა; ესეც ვიცოდი, რომ ყიფიანი, უსასყიდლოთ არ იშრომებდა. ჩემი გაჭირვება, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობდა, რომ გასანძრევი გზა არ მქონდა არ მიმენდო ყიფიანისთვის საჩივრის დაწერა. რუსული არაკია: უთევზო ალაგას კიბოც თევზათ შეიქნაო. სხვა ვექილისთვის რომ მეთხოვნა საჩივრის შეტანა, შესაძლებელი იქნებოდა ვადა გაეშვა უდროობის გამო. ყიფიანს კი, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ძრიელ ბევრი დრო ჰქონდა, თვარამ ყიფიანის სხვა და სხვა საგნებზედ სჯა და მისი გამჭრიახობა მე პეტერბურღშიაც მქონდა გაცნობილი. მე ვფიქრობდი, ვაი თუ ყიფიანმა ვერ მიაგნოს იმ კანონებთ, რომელთ წინააღმდეგ პალატის განჩინება არის დადგენილი, ან და ვაი თუ ნახოს რამე მიზეზი და ეს მიზეზი მცირე მიზეზათ შერაცხოს და საჩივარი არ შეიტანოს, იფიქროს: რათ შევიტანო საჩივარი ამ ნაირ საეჭვო საქმისთვის, მით უფრო რომ სასყიდელი არ მომეცემა,—მაშინ როდესაც შესაძლებელი იქმნება, რომ ეს მიზეზი ძრიელ საფუძვლიანი მიზეზათ აღმოჩნდეს სენატში. ამასთანავე მე მქონდა სახეში, რომ სენატს არა ერთ-ჯერ დაურღვევია სამსაჯულოს განჩინება, რო[illegible] უნახავს, რომ ეს განჩინება ეწ[illegible] რომელიმე კანონს, თუმცა კასსაციის საჩივარში ეს კანონი არ ყოფილა ნაჩვენები. ნანეი-შვილის დედა პეტერბურღს აპირებდა წასვლას და იქ ვექილის შოვნას; მე ვფიქრობდი, თუ რაიმე კანონი უსაფუძვლოთ არის მოყვანილი პალატის განჩინებაში, ახალს ვექილს შეეძლება მიაქციოს სენატის ყურადღება ამ ნაირ უწესობაზედ; თუ ახალმა ვექილმა საფუძვლიანათ დაინახა ის მიზეზი, რომელიც კასსაციის საჩივარში მხოლოთ გაკვრით არის მოყვანილი, მას შეეძლება დააწვეს ამ მიზეზს და გულ-მოდგინეთ მისცეს მას განმარტება. ამისთვის ყიფიანს ეძლეოდა წინადადება, რომ საჩივარი ყოველს შემთხვევაში შეეტანა და არ გაეშვა ვადა; ამასთანავე მას ეძლეოდა იმედი, რომ ის მიიღებს სასყიდელს, რომ მისი შრომა დაჯილდოებული იქმნება. შემდეგში, როდესაც გადავხედავდი ყიფიანისაგან შეთხზულს საჩივარს, მე გავაშვებინებდი ტუსაღებთა და მათ ნათესავებთ საქმეს, თუმც დავრწმუნდებოდი, რომ საქმის მოგება შეუძლებელია.—ვადის გაშვება შეუძლებელი იყო, ვადა რომ გაშვებულიყო მე ვიქმნებოდი ბრალი. როგორც ტუსაღები, ისე მათი ნათესავები მე დამიწყებდნენ საყვედურს, ისინი დაიწყებდნენ ყვირილს, რომ მე განგებ დავაკარგვინე მათ ვადა და ვუღალატე მათ, ვადის გასვლამდე ქაღალდები ხელში დავიკავე და ბოლომდის მათ არა ვაცნობე რა.

როგორცა სჩანს, ყიფიანს 1873 წლის დეკემბერში მოუხსენებია მეველისთვის ჩემი ვითარება. ზემოხსენებული ჩემი წიგნი ყიფიანმა მიიღო 1872 წლის 14-ფებერვალს. მე მსურს დავეკითხო ყიფიანს: რა იყო მიზეზი მისი აქამომდე სიჩუმისა და რა მიზეზმა ამოაღებია მას ხმა ამ ჟამად? თუმცა ის ჩემი წიგნის წაკითხვის დროს ვერ მიხვდა მის ჰზრს, ნუ თუ შემდეგ იმ წიგნის მიღებისა მოემატა მას ჭკუის ძალა? ყოველი პატიოსანი კაცი მიღებისათანავე იმ შინაარსის წიგნისა, რანაირიც ყიფიანს თავის წერილში მოყავს, მოსთხოვდა წიგნის მომწერი, რომ ამ უკანასკნელს აეხსნა, რანაირათ მოუვიდა მას ამ ნაირი წიგნის მოწერა; და თუმც წიგნის მომწერი ვერ გაიმართლებდა თავს, მაშინ აცნობებდა წიგნის მომწერს, რომ ის სპობს მასთან ყოველივე კავშირს, ამ ნაირათ მოიქცა ყიფიანი, თუ არა? სრულებით არა. ყიფიანს შემდეგშიაც არ მოუშლია ჩემი სამსახური. როგორც წინეთ მოვიხსენიე, ყიფიანმა, თანახმათ ჩემი დაბარებისა, კასსაციის შავთან მომაწვდინა მე პალატიდამ გამოტანილნი ქაღალდები კონსტანტინე დადიანის საქმეზედ. ყიფიანმა დიდის მადლობით მიიღო ჩემგან ვექილობა ტუსაღების დასაცველათ პალატაში. ის ხშირად მწერდა მე მოკითხვას თავის წიგნებში, რომელთაც ლოლუას სწერდა: ამ წიგნებში ის იწერებოდა: жму руку Абдушели. მის მაგიერ, რომ ყიფიანს მოესპო ჩვენთან ყოველივე კავშირი, აი რას სწერდა ის ლოლუას: „სხვებრ, რაც რომ დასაბარებელი გექნება, ან შესატყობი, ან გამოსატანი, ქაღალდი რამ, ან სხვა რამე, გთხოვ მომწერო და დიდის სიამოვნებით გემსახურები." ერთის სიტყვით ყიფიანი იმ ნაირათ იქცეოდა ჩვენთან, ვითარცა ღარიბი პრიკაშჩიკი მდიდარ მუშტართან, რომელიც წელში იხმანწება და ცდილობს, მოაწონოს ამ მუშტარს თავისი საქონელი და რომელიც იგინება, თუმც მუშტარი არას ყიდულობს. ყიფიანის წერილი ჩემი წიგნის თაობაზედ ძრიელ და ძრიელ დაგვიანებულია. მკითხველი ეხლა სხვა ნაირათ იფიქრებს. არა, სამ წელს რომ კიდევ მოეცადნა ყიფიანს და მერე ეთხრობია მეველესთვის ჩემი ვითარება, უფრო მშვენიერი იქნებოდა! მაშინ მე, ვითარცა მოპასუხეს, უფრო ადვილათ მომაგონდებოდა ყოველივე ისა, რაც მე დავიდარაბა და თრევა დამჭირდა ტუსაღების საქმეში. არა, უფალნო მეველე და ყიფიანო, ალბათ საქმე ისე არ ყოფილა, როგორც თქვენ მოგვითხრობთ!

დავით აბდუშელიშვილი.

ქუთაისი,

16-ს მაისს 1874 წ.

---

## უნებური საუბარი.

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს,
რა წიგნი მოუწერია?!

რუსთველი.

უ. აბდუშელიშვილი გაკვირვებულია, არ იცის რა უსინიდისობაზედ მოუთხრობ მე „დროების" 404 №-ში. ეს მისი უდავო უფ-

ლება, მას შეუძლია ვერ გაიგოს რომელიმე საქმე—ამისთვის ჩვენ სამდურავსაც ვერ ვიტყვით. ჰეინე ამბობს: „ყველას ნება აქვს, რომ სულელი იყოს“ და თუ ვინმე ამ უმანკო აზრის გამოყენებას მოინდომებს თავისთვის—რა გვენაღვლება! მაგრამ, საეჭო კია, რომ ამ შემთხვევაში აბდუშელიშვილს გულწრფელობით მოსდიოდეს ეს განკვირვება.

ჩვენ ეხლა არ განვიმეორებთ იმას, რაც ერთხელ წარმოვსთქვით შესახებ ადვოკატთ წოდებისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „დროებამ“ გამოაცხადა ის, რასაც ყველა გრძნობდა და ხედავდა, ე. ი. ხალხის გალარიბებას და გაცარცვას ადვოკატებისაგან. ეს აზრი მარტივად და უეჭველად იყო გამოთქმული ჩვენგან, და როგორ მოხდა, რომ აბდუშელიშვილმა მაინც ვერ გაიგო, რა უსინიდისობაზედ ვამბობდი მე?!

მაგრამ იქნება აბდუშელიშვილი აპირებდეს ადვოკატების თავის საფარველს ქვეშ მიღებას? ან და ჰფიქრობს, რომ ჩემი სტატიით, სხვათა შორის, ისიც შეურაცხყოფილი და გალანძღულია?

იქნება აბდუშელიშვილს სურს, რომ თავის მკერდი ჯებირათ აუგოს მთელს საადვოკატო წოდებას!—იყოს ნება მისი, ჩვენ არ უშლით. „მზგავსი მზგავსისა თანა განისვენებს“. თუ ეხლანდელი საზოგადოება არა, შთამომავლობა მაინც დააფასებს ამ რაინდულ ქცევას. თუ დროებით დაისჯება ეს თავის სულგრძელობის მსხვერპლი კაცი, საზოგადო მოღვაწეობისთვის იქნება მაინც დასჯილი, თორემ საკუთრად მასზედ რომ არა გვითქომს რა?

ჩვენ გამოვაცხადეთ ერთი უმანკო ბარათის არსებობა, რომელსაც აბდუშელისშვილიც არ უარ-ჰყოფს.

მიბრძანეთ, ვინმემ რომ სარკეები შემუსროს, როცა თავის მახინჯ სახეს დაინახავს შიგ, განა ეს სარკის ბრალია? თუ აბდუშელისშვილს თავისი ნასიკეთვარი წინ დახვდა და ადვოკატების საზოგადო სურათში თავის თავი გამოიცნო, განა ეს ჩვენი დანაშაულობაა?!

აბდუშელიშვილმა მისწერა ნ. ყიფიანს: „....ფულს მაინც მოვიღებთო“. ჩვენ ეს ფაქტი გამოვააშკარეთ. ნ. ყიფიანმა დაამტკიცა ნამდვილი წიგნის დაბეჭდვით ჩვენი სიტყვები. ამის შემდეგ მოდის უ. აბდუშელიშვილი და კიდევ უარზედა სდგას, გვეუბნება, რომ „მეველე და ყიფიანი სწორათ არ მოგვითხრობენო“. შეიძლება კიდევ მეტი შუბლგატეხილობა და უტიფრობა?!..

არა, რა არის მომატებული ბრძანეთ ერთი? არ დაგიწერიათ უ. აბდუშელიშვილო ზემოხსენებული საბუთი თუ? წარმოიდგინოთ, რომ მზგავსი ბარათი, როგორც მე გამოვაცხადე, სრულიად არ ყოფილა აბდუშელისშვილისგან შეთხზული, რაში იქნებოდა თუ გინდ მაშინაც ჩემის მხრით გადასხვაფერება და განგები განზრახვა? განა ამ სასირცხო ბარათს აბდუშელისშვილს ვასაკუთრებდი? განა ნ. ყიფიანმა არ მიიღო თავის თავზედ ჩემგან წარმოდგენილი ამბევის სინამდვილის დამტკიცება? მაშ, გაიბჭევით უ. აბდუშელისშვილო თქვენ და ნ. ყიფიანი, იქნება არც იმან გადაგაჭრევინოსთ თავზედ ხახვი.

რაიცა შეეხება თქვენს მახვილობას, ვითომც მე ლამანჩელი აზნაურის იარაღით ალჭურვილი ვარ—ამაზედ აი რას მოგახსენებთ: დაანებეთ, ღმერთს მიმადლე, თავი ლიტერატურულ მაგალითებს! თუ დაიჯერებთ, ეს თქვენი საქმე არ არის. ამისთვის ცოტა მეტი წერა-კითხვის ცოდნა გახლავს საჭირო და ცოტა მომეტებული აზრის ჰქონაც გოგრაში.

A propos: იცით თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ის ლამანჩელი აზნაური, რომელსაც თქვენ ბრძანებთ—კეთილ-შობილი კაცი გახლდათ?

მაგრამ, როგორ ფიქრობთ, უ. აბდუშელიშვილო, კენჭის ყრით რომ იყოს პატიოსნების დიპლომი, ბევრი ადვოკატი გათეთრდებოდა ვითომ?

ერთიც არის,—იქნება სრულიადაც არ აფასებდეთ ამ ნაირს ღირსებას! და ამ შემთხვევაში გირჩევთ:

სწერეთ ისევ ჩვეულებრივი აპელაციები და კასსაციები, ფულსაც უფრო ბევრს აიღებთ, და არც ქვეყანა შეიტყობს თქვენს უმეცრებას, თქვენს დაბნეულს პარტყალს.

მეველე.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

— ბონაპარტელები იმედობენ, რომ მაკ-მაჰონი ადვილად დათანხმდებაო ნაპოლეონისშვილის გამეფებაზედ. ორლეანელები ბორლის ჩამოგდების შემდეგ ძალიან ყურჩამოყრილი არიან. მაგრამ ის გარემოება ანუგეშებს მათ რომ პრეზიდენტმა იმათ შორისვე აღირჩია მინისტრები. ორლეანელებს სურსთ თავისი დამარცხება გადააფუჩეჩონ და თითქოს უჯერიან ახალს სამინისტროს, რომ ის პირუთნეველი და ამასთან უპროგრამმო სამინისტრო იქნება“.

---

— გაზეთი „Univers“ გესლიანათ ამბობს: „ეს შემთბარი სამინისტროა! ვაი მაგათი ბრალი, აქამდის მხოლოდ ეჭვში იყვნენ თავის ძალაზედ და ხვალ კი გამოაშკარდება მაგათი უძლურება. ეხლანდელი მინისტრების დანიშნულება ის არის, რომ არავითარი მნიშვნელობა არ იქონიონ. ისინი არა-რაობათ უნდა იქმნენ, თუ ბუნებით არა, გარემოების ძალით მაინც, მაგრამ ცუდი ეს არის, რომ ეს არა-რაობა ნამეტნავია.

---

— მარცხენა ცენტრი ერთობ გაფიცხებულა მაკ-მაჰონზედ, რომ იმათგან არავინ აღირჩია მინისტრად პატრიოტები ნუ შეძრწუნდებიან, ამბობს ტიერის გაზეთი, ეხლანდელი დახლართული მდგომარეობითა. დაინდონ ხალხის სიბრძნეს და ის მონახავს საშუალებას თავის წინაამდეგი პოლიტიკის დასარღვევათ.

ერთობით მაკ-მაჰონს ვერ ერწმუნებიან, რომ ის საფრანგეთის სურვილს გაჰყვეს. ამბობენ, ღენერალი სისეს პირველ მინისტრათ დანიშვნა არ ეთანხმებაო არც ხალხის და არც ნაციონალური კრების სურვილს.

---

— უმთავრესს შემთხვევათ საფრანგეთში ეხლა ბონაპარტელი კანდიდატის ბურგონის აღრჩევაა დეპუტატათ.

გაზეთი „Temps“ ამბობს: ნიევრში ბონაპარტელებმა გაიმარჯვეს. უმრავლესობამ ბურგონი აღირჩია, იმან ხუთი ათასი კენჭით აჯობა რესპუბლიკელ კანდიდატს. კენჭის ყრისამ ნაირი დაბოლოება სრულიად არ იყო მოსალოდნელი, ნამეტურ იმისთვის რომ ამას წინეთ ნიევრმა სოციალისტი ტიურინი გამოგზავნა კრებაში. მაგრამ საფიქრებელია, რომ მაშინ მონარხიული ინტრიგების გამო ბონაპარტელებიც რესპუბლიკელ კანდიდატისაკენ იყვნენ, რადგანც ბონაპარტელებს შამბორის, ან ორლეანის მონარხიას ისევ რესპუბლიკა ურჩევნიათ.

---

— ბურგონის აღრჩევამ, ამბობს „Journal des Debats“, უნდა აუხსნას თვალი ნაკლებ გამჭრიახ კაცებსაც. ხალხი აცხადებს, რომ იმას არ მოსწონს ორპირული მართებლობის პოლიტიკა, და თუ ნაციონალურმა კრებამ არ დაადგინა ერთი მკვიდრი წყობილება, მაშინ საგულისხმოა, რომ დაღალული ხალხი ხელ ახლავ ბონაპარტელების მსხვერპლი შეიქნებიან და ყველამ იცის, რაც ვნება უჩვენებია საფრანგეთისთვის ამ პარტიას.

---

— „Rappel“ აცხადებს, რომ ნაციონალურ კრებაში მალე ბევრი საჩივრები შემოვაო, რადგანც მტკიცდება, რომ მართებლობის პირებს ნიევრში კენჭის ყრის დროს ბოროტად მოუხმარიათ თავისი უფლება და ბონაპარტელი კანდიდატის გათეთრებას მეცადინეობდენო.

---

— გამბეტას სიტყვა წარმოუთქვამს ერთი შესანიშნავი რესპუბლიკელის ღალტონ-სეს საფლავზედ. ორატორი აქებდა განსვენებულის „სამოქალაქო სიმხნეს, რომელმაც რესპუბლიკელ პარტიაში შემოსვლისა თანავე უარ-ჰყო ყველა შთამომავლობითი უფლებები და გასწყვიტა კავშირი არისტკრატიასთან“

---

— საწყალს მარცხენა ცენტრის დეპუტატებს არც ადგილი მისცა ვინმემ ახალს სამინისტროში და ლექსის გამოთქმა კი შერჩათ. „სეზან და ბოდე შეადგენს ჩვიდმეტს“...

აქ კალამბურია: სეზ ანნ—თექვსმეტს ვირს ნიშნავს და ბოდე—სულელს, ვირს; ე. ი. ორივე ერთად ჩვიდმეტი ვირი იქნებიანო.

---

— როგორც სჩანს წინანდელი გერმანიის ელჩი, არნიმი, ძალიან ეწეოდა მონარხიელებსა, თუმცა ეს თავის მმართებელობისაგან მინდობილი არ ჰქონია. ეხლა ამ ადგილზედ გოგენლოე დაუნიშნავთ, რომელიც რესპუბლიკის მიკედლებას აპირებს. მას უთქვამს შემდეგი სიტყვები: „მე ისეთ ქვეყანაში ვარ ელჩათ, რომელმანაც პირველად წარმოსთქვა დიდებული თავისუფლების აზრები, რომელზედაც დამყარებულია ეხლანდელი წყობილება“ შამბორელები თავის მტერათ რაცხვენ გოგენლოეს.

---

— ერთ პატარა ქალაქში საფრანგეთში სამეროს სეკრეტარმა რესპუბლიკელი დროშა გაატანინა სამეროდგან და მაგიერად აღმართა შამბორის თეთრი დროშა, რომელზედაც ეწერა: „გაუმარჯოს მეფეს“. მაგრამ სეკრეტარი ამასაც არ დაჯერდა და როდესაც შედიოდა სამეროში, დაიძახა თურმე „გაუმარჯოს მეფეს“. მთელმა საზოგადოებამ ერთხმათ პასუხათ მისცეს: გაუმარჯოს რესპუბლიკას. იმ წამსვე შეკრბა ხალხი და გულდაწყვეტილ ლეგიტიმისტს ჩამოაღებინეს ძირს შამბორის დროშა.

---

## ესპანია.

— შესანიშნავი ესპანიის ღენარალი პავია, რომელმაც ამას წინეთ სახელმწიფო ცვლილება მოახდინა მადრიდში, [illegible] მოყარა პოლტიდამ ხალხის წარმომადგენლები და უფლება სერრანოს ჩააბარა, სამსახურიდამ გამოსულა.

პავია ამბობს თავის დათხოვნის წერილში: „მე ვხედავდი, რომ მაშინდელი კრება დაღუპავდა ჩემს სამშობლოს და იმისთვის გავბედე იმისი დაშლა. მე თვითონ არ მისურვებია უფლების დასაკუთრება, მე აღვირჩიე სერრანო, რომელსაც ხალხის თავისუფლება უნდა დაეფარა და ყველა პარტიების შეწევნით აღედგინა ესპანია. მე დავრწმუნდი, რომ მმართებლობა გადახდა თავის დანიშნულებას და პატიოსან სიტყვებს, ამისთვის გთხოვთ განმათავისუფლოთ სამსახურისაგან.“

---

პარიჟი, 17 მაისს 1874 წ.

დიდი ხანია პარიჟის ქუჩებში ისეთი მოძრაობა არავის უნახავს, როგორც ამ თვის თექვსმეტს იყო. ჩვენი ლათინის უბანით, რომელშიაც სხვა მცხოვრებთ გარდა 20,000 სტუდენტი დგას, მყუდროებით უიმისოთაც არ არის განთქმული; ხშირად დილის ორ-სამ საათზე მყუდრო მოქალაქებს უფრთხობს ძილს შექეიფიანებული სტუდენტების ყვირილი და კისკისი.

მაგრამ იმ დღეს, ასე საღამოს ათ საათზე რომ გავევლოთ ამ უბანში, კიდევ უფრო მომეტებულ მოძრაობასა და სიცხოველეს ნახავდით. იმ ქუჩაზე, რომელზედაც მე ვდგევარ, მაგ., იმდენი ხალხი მიდი-მოდიოდა, ისეთი ფიაკრებისა და ომნიბუსების არა ჩვეულებრივი რახა-რუხი შეიქნა, კიოსკებთან (გაზეთების ბუტკებთან) იმდენი გროვა მოყრილიყო, რომ ვერ მოვითმინე შინ დასვენებით დაჯდომა, დავავლე შლიაპას ხელი და ჩამოვირბინე დედა-მიწაზე მეშვიდე ეტაჟიდამ.

— თუ აქ ეხლა ასეთი მოძრაობაა, იქ, წყალს გაღმა, დიდ ბულვარებზე რაღა უნდა იყოს-მეთქი—ვიფიქრე და უნებლიეთ მივიბრუნე იქითკენ პირი.

×

თქვენ, რასაკვირველია, მიმხვდარი ხართ, რომ ამ არა-ჩვეულებრივი პარიჟის ღელვის მიზეზი ბროლის სამინისტროს ჩამოგდება იყო. წინა დღეებშივე იცოდნენ, რომ ამ დღეს კრებაში შესანიშნავი სხდომა უნდა მომხდარიყო.

— „გამბეტტას მინები დამზადებული აქვსო,“ ამბობდნენ პარიჟელები. „თუ მოახერხა და უფეთქა სამინისტროს და ყირიმალაზე დააყენა, აი, მარჯვე კაცი მაშინ იქნებაო!“

სანამ ჩემი კიბიდამ ძირს ჩამოვიდოდი, ომნიბუსს ვიშოვნიდი და დიდ ბულვარებამდი მივაწევდი, თითქმის სრული თერთმეტი საათი შეიქნა. ღამის თერთმეტი საათი ის დროა, როდესაც სხვაგან ყველა საღამურ პერანგს იცვამს და მიბნედილი თვალებით ლოგინს შესჩერებია სიტკბოებითა. აქ კი ეხლა ისეთი მღელვარებაა, ისეთი მოძრაობა, თითქო ამათთვის ეს იყოს ეხლა გათენებულიყოს დღე.

ყველას რაღაც გამოუთქმელი და ახირებული სიცილი აწერია სახეზე. ერთს პარიჟელს რომ შევხედე, იმ წამსვე მივხვდი, რომ „le ministere est battu!“, რომ გამბეტტას ლაღუმს ტყუილა არ უფეთქებია, რომ, ერთი სიტყვით, ბროლის სამინისტრო ნეტარ-ხსენებულ სამინისტროთ გადაქცეულა. გაზეთმა „Le Soir“ სრულიად დამარწმუნა ამაში: ბევრი ჯლიჯვისა და ზურგის ხმარების შემდეგ, როგორც იყო ერთ კიოსკამდი მივაწიე და ვიყიდე ეს გაზეთი. შიგ

ეწერა: 381 ხმის უმეტესობით 317 ხმაზე სამინისტრო დამარცხებულა. სხდომის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბიუფე და ბულარი მიიხმო ახალი სამინისტროს შესადგენად.“ მოკლე, მაგრამ მჭევრმეტყველია.

×

თუ გინდათ შეიტყოთ: თუ რომელსამე პოლიტიკურ საქმეს როგორი გავლენა აქვს ხალხზე, ვაჭრობაზე და წარმოებაზე, ბირჟას უნდა დაეკითხოთ; სხვა და სხვა ბანკის ქაღალდებისა და აქციების ფასების (კურსების) მომატება ან დაკლება ცხადათ დაგიმტკიცებთ: ვაჭრობა და საზოგადოთ ხალხი მოსვენებულია, გახარებულია და დაიმედებულია ამ პოლიტიკურის მოვლენისაგან, თუ არა. მაშასადამე ძალიან საინტერესოა ამისთ ნა შემთხვევებში ბირჟის მდგომარეობა.

უქმ დღეებში და სხვა და სხვა დროს, როდესაც ნამდვილი ბირჟა დაკეტილია, ვაჭრები და საზოგადოთ ბირჟაზე ფულების „მოთამაშე“ ხალხი ბულვარზე გროვდება, ერთი მაღაზიის წინ და აქ შეიქნება ერთი ყაყანი და ვაი-ვაგლახი; სწორეთ ურიების თორა გეგონება. ამ ალაგს „პატარა ბირჟას“ ეძახიან. აი ამ პატარა ბირჟისაკენ გავსწიოთ ეხლა.

აქ ტევა აღარ არის. ეს უშველებელი ფართე, ასფალტით მოფენილი ტროტუარი ისეთ ნაირად გაჭედილა ხალხითა, რომ რაც უნდა მაგარი ბეჭები გქონდეს, ვერ გააპობ. ისეთ რაღაც უცნაურ სიტყვებსა, თუ სიტყვის ნაგლეჯებსა და ციფირებს ყვირიან, რომ სრულებით არაფერი არ მესმის — რაშია საქმე. ბოლოს, როგორც იყო, ჩემ გვერდით მდგომებს გამოვკითხე და შევიტყვე, რომ კურსები თან და თან მაღლა იწევს; ცხრა საათზე 50 სანტიმი მოუმატნია, ათის ნახევარზე ერთ ფრანკამდი ასულა და მეორე დღემდი ამაზე გაჩერებულა. მუშინ ერთი ფრანკი 47 სანტიმი იყო მომატებული. მაგრამ მოეშორდეთ ბირჟას და იმის „თამაშს“. აქ სხვა თამაშია.

×

რამდენსამე ალაგას ხალხის გროვები გაჩერებულან და გაცხარებით ლაპარაკობენ, ან ერთი რომელიმე საღამოს გაზეთის მეორე გამოცემას ჰკითხულობს და დანარჩენები სულის დაბნევით ყურს უგდებენ. ყველგან სამინისტროს ჩამოგდებაზედ ლაპარაკობენ, ყველას უხარია ეს ამბავი; ხვალ რა მოელისთ, არ იციან; არ იციან: როგორი იქნება ახალი სამინისტრო და რა გზას დაადგება.

ერთ ალაგას მუშები შეგროვილან და ისინიც ამ საგანზე სჭრიან. ნეტავი რომელი ჩვენი განათლებული ყმაწვილი კაცი მოახერხებს ასე სჯას, როგორც ეს უბრალო ბლუზაში გახვეული მუშა? რომელი იცნობს ისე კარგათ თავის ქვეყნის ხალხსა და იმის ყოველ-გვარ წყობილებასა და მდგომარეობას? ერთი ვილაც ბონაპარტელი გამოჩნდა ამ მუშებში და დანარჩენ მუშებს იმასთან ჰქონდათ ბაასი. საწყალი როგორ გაბერტყეს, რამდენჯერ გააწითლეს, რამდენჯერ აწყევლინეს ბედი — რა მჯრიოდა ამათთან ლაპარაკსაო.

— Mais vous ne lisez donc rien! Mais vous ne savez rien! Vous ne lisez même les journaux.

ბოლოს ჩაიბუტბუტა საწყალმ: „ყველას ნება აქვს, თავის საკუთარი აზრი ჰქონდესო“. ამოიძუა კუდი და გაერივა ხალხში. მის მოწინაღმდეგემ უკანიდამ მიაძახა:

— ყველას ნება აქვს სულელი იყოს, მაგრამ იმ პირობით, რომ იმის სისულელემ სხვას არ უნდა ავნოს. ხალხმა სიცილი შექნა.

×

მეორე ალაგას ერთი მარცხენა მხრის დეპუტატი (რიკარი), რომელიც ახლად დაბრუნებული იყო ვერსალიდამ, ჩაეგდოთ ვილაცაებს ხელში და ჰკითხავდნენ, როგორ მოხდა ეს ამბავი კრებაშიო. ისეც დიდის კმაყოფილებით და სიამაყით უამბობდა ხალხს კენჭის ყრისა და პარტიების შეერთების ამბავს. ტროტუარს ქვევით კუჩრებს მოეყარათ თავი; აქაც გაცხარებული დავა და ბაასი; ესენიც თავიანთი „Le petit journal“-ის პოლიტიკით განმარტებენ შემთხვევას და სჯიან.

×

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი — ყველა მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ საქმეში, ყველა აღელვებულა, საზოგადო საქმე, საფრანგეთის საქმე ყველას თავის საკუთარ კერზო საქმედ მიაჩნია...

დილის პირველი საათი შეიქნა და მე შინისაკენ დავბრუნდი. ბულვარზე ისევ მოძრავი, მოლაპარაკე, მოქმედი და მობაასე ხალხი დავტოვე... პოლიციის სალდათები თავის ჩვეულებრივის ხმით იძახიან: Circulez, messieurs! Circulez, s'il vous plait!

ს. მესხი.

## ნარევი

— ევროპასა და ამერიკას შუა გაბმულია ატლანტის ოკიანეს ფსკერზედ ორი ტელეგრაფი, ეხლა მესამის გაბმას აპირებენ. ამ ახალი ტელეგრაფის კამპანიას უნდა, რომ ტელეგრამმის ფასი იმის მეოთხედი დანიშნოს, რაც ეხლა არის. სატელეგრაფე თოკი სიგრძით სამი ათასი ზღვის მილი იქნება თურმე (ზღვის მილი ერთ ნახევარი ვერსტია). გაკეთება დაჯდებაო ცხრა მილლიონ მანეთამდის. ტელეგრაფის ზღვაში ჩაშვებას ამ თვის დამლევს დაიწყებენ და ამისთვის აშენებენ ერთ უზარმაზარს ცეცხლის გემს, რომელიც პირველი ტელეგრაფის გასაბმელად გაკეთებულს ცეცხლის გემზედ „გრეთ-ესტერნზედ“ ბევრად უდიდესიაო და ის გემი სიგრძით თითქმის ასი საჟენი იყო, სიგანით, უბორბლებლოთ, თექვსმეტ საჟენ ნახევრამდის, სიმაღლით რვა საჟენ ნახევარზედ მეტი და მისი ბორბალი სიგანით რვა საჟენი იყო.

— ლონდონის უნივერსიტეტს წლიურს სხდომაზედ, 30 აპრილს, გადაუწყვეტია, ოთხმოცდა სამი ხმის უმეტესობით სამოცდა ხუთი ხმის წინაღმდეგ, რომ დედაკაცებსაც უნივერსიტეტის კურსისაგან ეგზამენის დაჭერის ნება უნდა მიეცესთ და უნივერსიტეტის ხარისხის მიმნიჭებელი მოწმობა, ვინც იმათგანი ეგზამენს კარგად დაიჭერსო.

— პარიჟიდგან იწერებიან, რომ ბარონ როდშილდის თხუთმეტის წლის ქალს მასწავლებლობის ეგზამენი დაუჭერია და უნდა თურმე, რომ ყმაწვილების სწავლებას შეუდგეს

— ამ უკანასკნელი ოთხი თვის განმავალობაში კიევის ქალაქს სამოცდა თერთმეტი სხვა და სხვა წიგნი დაბეჭდილა, ამათგან ოცი მალოროსიულს ენაზედ. უმეტესი ნაწილი ამ თხზულებათაგან ტეხნიკური და სახალხო წიგნები ყოფილა.

— საკათოლიკე ეპარხიის მმართველს ძანტონის ქალაქში (ჩინეთშია), ბილმენ ეპისკოპოსს, გამოუგზავნია პარიჟის ჰავის შემათვისებელი ბაღისათვის ერთი შესანიშნავი ჩინეთის მცენარე, რომელიც აქამდის ევროპაში არავის უნახავს. ეს მცენარე დღეში სამჯერ იცვლის თურმე ფერს. ყოველ დღეს ამ მცენარეს აუარებელი ხალხი ახვევიაო. ჩვენ ამისთანა მცენარე სრულიადაც ვერ გაგვაკვირვებდა და არც არავინ მოისურვებდა, ვგონებთ, იმის ნახვას, რადგანაც ჩვენში მცენარე თუ არ უნახავთ იმაზედ უმაღლესს არსება ფერცვლია კაცებს ხომ ხშირად ჰხედვენ.

— ერთს მდიდარს ამერიკელს უებარი დოღი, მარულა, დაუნიშნავს თავის ხარჯით ეს დოღი უნდა მოხდეს ფილადელფიის ქალაქში მსოფლიო გამოფენის დროს. იმისი გამართვა ამ ამერიკელ კრეზს ორ მილლიონ მანეთამდის უღირს თურმე. დოღში მონაწილეობის მისაღებად იმას უნდა მიიწვიოს სხვა და სხვა რკინის გზის მეპატრონე საზოგადოებანი, რომელთაც თავის ცეცხლის-ეტლები უნდა გაჰგზავნონ შესაჯიბრებლად. ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ოთხ ცეცხლის-გემს შეეძლებაო სირბილი, რადგანაც სამარულე გზაზედ მარტო ოთხვა რკინის ისრები იქნებაო გაწყობილი.

ჩვენ არა გვგონია, რომ ფოთი-თფილისის რკინის გზამ ამ დოღზედ თავისი ცეცხლის-ეტლი გაგზავნოს, ამიტომ რომ საეჭვოა იმას საჩუქარი ერგოს. მაგრამ, ვინ იცის, იქნება მარტო გზაზედ ზანტობდნენ ამ საზოგადოების ცეცხლის-ეტლები და დოღზედ კი ფრინველივით ქროლა შეეძლოსთ?

თუ ჩვენს ქვეყანას ამ დოღზედ წარმომადგენელი არ ეყოლება, იმით მაინც ვინუგეშოთ, რომ, როგორც ამბობენ, ერთხელ იმერეთში ერთს პატივცემულს თავადს სულ სხვა ეტლების მარულა გაუმართავს, რომელსაც ახლად განზრახულ მარულაზედ ის უპირატესობა ჰქონია, რომ მატარებელი სულიერი, ბუნებითი, კუდა ზარები ყოფილან და არა მეცნიერებისაგან დაბადი უსულო არსება. წარმოიდგინეთ საშიშარი, ვეება ცეცხლის ეტლები და პაწაწა იმერული ორ-გოგორა ურმები და ადვილად დაინახავთ, თუ რომელთ დოღზედ დასწრება უფრო სასიამოვნოა.

## განცხადებანი


Въ С. Карели, близь станціи желѣзной дороги, открытъ мною паровой лѣсопильный заводъ, о чемъ объявляя, считаю долгомъ присовокупить, что всѣ заказываемые матеріалы будутъ самаго лучшаго качества и гораздо дешевле существующихъ въ Тифлисѣ цѣнъ. Съ заказами могутъ обращаться или прямо на заводъ въ с. Карели, или чрезъ магазинъ Іосифа Артемьевича Херумова.

Въ концѣ Мая сего года будетъ открытъ тамже паровой винокуренный заводъ. Съ заказами обращаться по тому же адресу.

*М. Аленичъ.*

ვისაც სურს გამოიწეროს ადგილიდგან ლოკომობილი, მიწის დასამუშავებელი იარაღები, ფაბრიკისათვის მაშინა და სხვა და სხვა მეხანიკური სახელოვნო მაშინები ზავოდიდგან რობისა, ვორსამისა და აბოტსონისა, შეუძლიან მიიქცეს კომმისიონერთან უფალს ევგენი დიმიტრის ძეს ფედოროვიჩთან ფოთში და ეგრეთვე ცნობის შესაკრებად მიიქცეს უფ. გვარდიის შტაბს-როტმისტრთან სამსონ გიორგის ძეს ალენიჩთან, რომელიც ცხოვრებს გორის უეზდის სოფელს ქარელში, ანუ უფ. იოსებ არტემის ძეს ხერუმოვთან, ერევნის მეიდანზე, ხერუმოვის მაღაზიაში.

ისყიდება ხელ-ნაწერი მიმოვლა წმინდა ადგილებისა იერუსალიმისა და სხვა პალესტინისა და ეგვიპტის ქალაქებში და უდაბნოებში. მოგზაურობის აღწერა იწყება თფილისიდამვე. ვისაც ამ მოგზაურობის დაბეჭდა სურს, ხელნაწერის ყიდვა შეუძლიან თვითონ მოგზაურის ბალრი-ბეგ-ბასტამოვისგან, არტემ ქეთხუდოვის სახლებში.


| რკ. გზა. | დილა | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | 10 | 2 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 27 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — კვირა საღამ. 6 საათ.
სტამბოლს — კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს —
ოდესას —
გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ — სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ — კვირა შუაღამეს.

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | - | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 3 | — |
| სპარსეთში | 5 | 76 |
| ოსტრიაში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 4 | — |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ:
ყოველგან — პარასკევობით. ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ამას გარდა ოზურგეთს — ორშაბ. ბაქოს — სამშაფ., განჯას — ოთხშაბათს (შუადღემდი).
ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან — ორშაფ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)
გ) გორიდამ.
ყოველგან — ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან — ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 17 მაისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^{1}/_{32}$ პენსი. | — | 83 |
| პარიჟში $347^{1}/_{4}$ სანტიმი. | — | 87 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 171 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 167 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$) | 86 | — |
| მოსკოვის (5%) | 85 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 262 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 131 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 515 | — |
| კავკაზის და მერკურის. | 180 | — |
| პირვ. უზრუნვ. მყოფი საზ. | 645 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 262 | 50 |
| მოსკოვისუზრ. მყოფი საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 31 მაისს | | |
| პური განჯისა | 1 | 45 |
| ქერი | — | 70 |
| ბამბა ერევნისა | 4 | 20 |
| — ამერიკისა | 5 | 85 |
| გაპენტილი ბამბა | 8 | — |
| მატყლი თუშური | 7 | 50 |
| — თარაქამისა | 4 | — |
| აბრეშუმი | 7 | — |
| ქონი | 4 | — |
| ქონის სანთელი | 6 | — |
| სტეარინის სანთელი | 10 | 90 |
| ხორცი ძროხისა | — | 62 |
| — ცხვრისა | — | 72 |
| სპირტი | 8 | — |
| შაქარი კარგი | 8 | 20 |
| — ფხვნილი | 6 | 70 |
| ყავა გრგვალი | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა | 7 | — |
| ოქრო | 5 | 97 |

### სახაზინო განცხადებანი

— დიდის თავადის ნამესტნიკის ნებართვით კავკასის პრიკაზში დანიშნულია ამ წლის 28 აგვისტოსელ-მეორედ ვაჭრობა ქვის სახლებისგასასყიდად. ერთზედ 350 მ. ვალია, მეორეზედ — 400 მ. და მესამეზედ — 400 მ. ამავე დღეს ისყიდება ს. ავჭალას მდებარე მამული, 4500 მანეთში დაგირავებული. („კავკაზი“ № 58)

— 26 ივლისს პრიკაზი ჰყიდის მეორე სახლს 600 მანეთის ვალში.

— ამ წლის 19 აგვისტოს ხელმეორე ვაჭრობაა პრიკაზში. ისყიდება სახლი 29,500 მ. ვალში. (ეს განცხადებანი იხილე „კავკაზის“ № 55-ში)

დაფასებითი სიები ნახეთ კავკასის პრიკაზში.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Мая 1874 г.* მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. — დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.